

BAG

ინდუქსია



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research

BAG ინდუქსი



ბიზნეს
კლიმატი



დასაქმების
ბარომეტრი



ხელოვნური
ინტელექტის
კვლევა

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	6
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	8
დაფინანსება	13
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	15
BAG დასაქმების ბარომეტრი	16
BAG ხელოვნური ინტელექტის კვლევა	20

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს². კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტალებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტალისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელშემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საინვესტიციო გარემოს. მიმდინარე კვარტალში კომპანიებმა, ასევე, უპასუხეს ხელოვნურ ინტელექტთან (AI) დაკავშირებულ დამატებით კითხვებს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2026 წლის მეორე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2026 წლის 9 - 25 ივნისის პერიოდში.




2026 წლის II კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2026 წლის II კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 47.6 უულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 30.0, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 66.5 უულაა.

2026 წლის II კვარტალში, 2026 წლის I კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 5.1 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი 10.1 ქულით, ხოლო მათ მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 0.8 ქულით გაუმჯობესდა.

2026 წლის II კვარტალის BAG ბიზნეს კლიმატის შედეგები 15.9 ქულით გაუმჯობესდა 2025 წლის II კვარტალთან შედარებით. კერძოდ, მომდევნო 6 თვის მოლოდინის შეფასება 20.8 ქულით გაუმჯობესდა, ხოლო მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 11.4 ქულით გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 1).

¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.


² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა³

2026 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით გაუმჯობესდა BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ **ბუმის ფაზაში** იმყოფება.

³ 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტალის მონაცემები, ხოლო 2020-2023 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.




გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი⁴

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2026 წლის II კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2026 წლის I კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის და მომსახურების სექტორებში, ხოლო გაუარესდა ვაჭრობის და მრეწველობის სექტორებში (იხილეთ გრაფიკი 3).

⁴ გრაფიკი 2 საკოორდინატო სისტემაზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თუკი ბიზნესები მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში. თუკი მიმდინარე მდგომარეობა და მოლოდინი დადებითად ფასდება, მაჩვენებელი „ბუმის“ მეოთხედში ხვდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მდგომარეობა დადებითადაა შეფასებული, ხოლო მოლოდინი უარყოფითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში. ხოლო, თუ მიმდინარე მდგომარეობაც და მოლოდინიც უარყოფითადაა შეფასებული, მაჩვენებელი „რეცესიის“ მეოთხედში ხვდება. გრაფიკზე 2020-2025 წლებისთვის წარმოდგენილია საშუალო კვარტალური მაჩვენებლები.



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2026 წლის I და 2026 წლის II კვარტალებში


2026 წლის II კვარტალში, 2026 წლის I კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება გაუმჯობესებულია მშენებლობის სექტორში 23.3 ქულით და მომსახურების სექტორში - 11.0 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა ვაჭრობის სექტორში 15.9 ქულით და მრეწველობის სექტორში - 13.1 ქულით. რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს**, შეფასება გაუმჯობესდა მშენებლობის სექტორში 16.4 ქულით, მომსახურების სექტორში - 15.4 ქულით და მრეწველობის სექტორში - 9.7 ქულით, ხოლო ვაჭრობის სექტორში მცირედით, 0.1 ქულით, გაუარესდა.

2026 წლის II კვარტალში ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე მაღალი შეფასება მომსახურების სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - ვაჭრობის სექტორში. ამას გარდა, ყველაზე პოზიტიური ბიზნესის მოლოდინი კვლავ მომსახურების სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიური - მშენებლობის სექტორში (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1: საბაზისო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2026 წლის II კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	39.7	20.5	60.5
მომსახურების სექტორი	57.0	38.5	76.9
მრეწველობის სექტორი	46.0	22.2	72.2
მშენებლობის სექტორი	34.8	33.3	36.4
ყველა სექტორი	47.6	30.0	66.5

2026 წლის II კვარტალში, 2025 წლის II კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მრეწველობის სექტორში 29.2 ქულით, მომსახურების სექტორში - 25.3 ქულით და მშენებლობის სექტორში - 7.8 ქულით, ხოლო ვაჭრობის სექტორში მაჩვენებელი მცირედით, 0.4 ქულით, გაუარესდა.




გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2026 წლის II კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 35%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2026 წლის III კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 34% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო 61% არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის შეცვლას (იხილეთ გრაფიკი 5).
- სექტორებს შორის, 2026 წლის II კვარტალის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2026 წლის III კვარტალის მოლოდინს, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ ყველაზე პოზიტიური შეფასებით კვლავ ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში⁵




გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

⁵ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება


- 2026 წლის II კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 67%-მა დააფიქსირა გაყიდვების ზრდა, ხოლო 6%-მა - შემცირება. რაც შეეხება 2026 წლის III კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 64% ფიქრობს, რომ მოთხოვნა გაიზრდება, ხოლო 4% შემცირებას მოელოს.
- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2026 წლის II კვარტალის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად ვაჭრობის და მომსახურების (69-69%) სექტორებში აფასებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიურად - მშენებლობის სექტორში (50%). 2026 წლის III კვარტალისთვის ყველაზე პოზიტიური მოლოდინი ვაჭრობის სექტორში (69%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).




გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2026 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების 27%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2026 წლის III კვარტალის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 22% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2026 წლის II კვარტალში ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის (50%) სექტორში აფიქსირებს. 2026 წლის III კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორში (35%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).




გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2026 წლის II კვარტალში, 2026 წლის I კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (2 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2026 წლის II კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორებია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები და საშუალო ძალის ნაკლებობა (იხილეთ გრაფიკი 11).




გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2026 წლის II კვარტალში


სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით, 2026 წლის II კვარტალში:

- ✖ **სპეციალისტების ნაკლებობა** ყველაზე მწვავედ იგრძნობა მშენებლობის სექტორში (100%) და საშუალო ზომის კომპანიებში (33%).
- ✖ **სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები** ყველაზე მეტად აწუხებს საშუალო ზომის კომპანიებს (54%), განსაკუთრებით კი მომსახურების (61%) და ვაჭრობის (59%) სექტორებს.
- ✖ **საშუალო ძალის ნაკლებობის პრობლემა** ყველაზე მწვავედ მშენებლობის (63%) და ვაჭრობის (55%) სექტორებში დგას, რაც საშუალო ზომის (29%) კომპანიებისთვის განსაკუთრებით პრობლემურია.
- ✖ **მოთხოვნის სიმცირე** წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს განსაკუთრებით მომსახურების სექტორისთვის (57%), ხოლო მშენებლობის სექტორში ეს პრობლემა საერთოდ არ ფიქსირდება. საწარმოთა ზომის მიხედვით კი, ეს პრობლემა მცირე (32%) და საშუალო (29%) ზომის კომპანიებს თითქმის თანაბრად აწუხებს.

- ✖ **შეზღუდული ფინანსური რესურსები** ხელის შემშლელი ფაქტორი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორისთვის არის (50%). საწარმოთა ზომის მიხედვით კი, შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემა ყველაზე მეტად საშუალო (13%) და მცირე (11%) ზომის კომპანიებში ფიქსირდება.
- ✖ **ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა** განსაკუთრებით პრობლემურია მშენებლობის (25%) სექტორში. საწარმოთა ზომის მიხედვით, აღნიშნული პრობლემა თითქმის თანაბრად აწუხებს მცირე (14%) და საშუალო ზომის (13%) საწარმოებს, ხოლო მსხვილ საწარმოებში ეს პრობლემა საერთოდ არ ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკები 12 და 13).









გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2026 წლის II კვარტალში



გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2026 წლის II კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად მოთხოვნის სიმცირის პრობლემა გამძაფრდა (11 პროცენტული პუნქტით), ხოლო ეროვნული გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა 7 პროცენტული პუნქტით შემსუბუქდა (იხილეთ გრაფიკი 14).

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ძირითადი ფაქტორები IV კვ. 2019 – II კვ. 2026



გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის⁶


⁶ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დამატა.

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2026 წლის II კვარტალში სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის კომპანიათა უმეტესობამ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად **მარეგულირებელი გარემო** მიიჩნია. სექტორებს შორის მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე იშვიათად მომსახურების სექტორში ფიქსირდება, ხოლო დანარჩენ სექტორებში - თანაბრად ხშირად.




სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის მეორე ადგილს **ადმინისტრაციული საკითხები** იკავებს. აღნიშნული ყველაზე მეტად ხელის შემშლელია მრეწველობის სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად ხელის შემშლელად დასახელდა ვაჭრობის სექტორში.

რაც შეეხება **სასამართლო სისტემას**, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად ხელის შემშლელად დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად - მრეწველობის სექტორში.



გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის


მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც სასამართლო სისტემას და მარეგულირებელ გარემოს ასახელებდნენ ხელის შემშლელად (4 და 3 პროცენტული პუნქტით, შესაბამისად), ხოლო შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდნენ ხელის შემშლელად (26 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 16).



გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის


დაფინანსება

2026 წლის II კვარტალში დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 45%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 8 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია (იხილეთ გრაფიკი 17). საწარმოთა ზომის მიხედვით, ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიება უფრო მეტად მსხვილმა (59%) საწარმოებმა სცადეს, შედარებით ნაკლებად კი მცირე (32%) და საშუალო (29%) საწარმოებმა.



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება

2026 წლის II კვარტალში მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 23% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. ალნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით არ შეცვლილა (იხილეთ გრაფიკი 18). ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო ხშირად საშუალო ზომის საწარმოებში დაფიქსირდა (43% იმ საწარმოთაგან, რომლებმაც სცადეს დაფინანსების მოძიება), ხოლო ნაკლებად - მცირე (33%) და მსხვილი (16%) ზომის საწარმოებში.




გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა⁷

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁸, 2026 წლის II კვარტალში კომპანიათა უმრავლესობის (75%) განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან, 2026 წლის II კვარტალში იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსდება, წინა კვარტალთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19% შეადგინა.

⁷ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


⁸ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდა) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2026 წლის II კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (79%) არ ელის მომავალ 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილებას. იმ კომპანიების წილი, რომლებიც ლარის გაუფასურებას ელიან 17%-ია, ხოლო მათი, ვინც გამყარებას მოელოს - 5%. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალთან შედარებით, 16 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან, ხოლო 11 პროცენტული პუნქტით შემცირდა იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ.




გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.⁹

2026 წლის II კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 29.1 ქულა შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 2.4 ქულით, ხოლო 2025 წლის II კვარტალთან შედარებით 2.5 ქულით გაუარესდა.



გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი¹⁰





2026 წლის II კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ოთხივე სექტორში დადებითია. 2026 წლის II კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის (16.7 ქულით) და მრეწველობის (2.8 ქულით) სექტორებში, ხოლო გაუარესდა მომსახურების (6.8 ქულით) და ვაჭრობის (6.5 ქულით) სექტორებში (იხილეთ გრაფიკი 22).

⁹ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

¹⁰ 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტალის მონაცემები, ხოლო 2020-2023 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.


ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	IV კვ. 2019	I-IV კვ. 2020	I-IV კვ. 2021	I-IV კვ. 2022	I-IV კვ. 2023	I კვ. 2024	II კვ. 2024	III კვ. 2024	IV კვ. 2024	I კვ. 2025	II კვ. 2025	III კვ. 2025	IV კვ. 2025	I კვ. 2026	II კვ. 2026
ვაჭრობა	33.3	-12.6	16.9	29.0	37.4	45.5	9.4	39.4	34.5	29.0	40.6	43.2	43.2	42.4	35.9
მომსახურება	14.6	-13.7	15.3	21.7	28.7	38.9	20.5	22.0	18.8	20.0	22.2	32.7	33.3	35.0	28.2
მრეწველობა	11.1	2.9	23.4	28.1	42.6	28.6	12.5	20.0	30.0	23.5	17.6	20.0	16.7	25.0	27.8
მშენებლობა	50	-31.9	30.1	44.6	63.5	70.0	47.1	35.7	30.8	16.7	54.5	20.0	28.6	0	16.7
BAG	26.1	-14.3	18.6	27.4	37.3	43.3	19.1	28.9	27.0	23.0	31.6	32.4	33.2	31.5	29.1







გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალში კომპანიათა 44%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები, რაც აღემატება როგორც წინა კვარტალის მაჩვენებელს, ისე წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ხოლო 2026 წლის III კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა 33% გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 23).



გრაფიკი 23: დასაქმებულთა ანაზღაურება


სექტორების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალში, კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა მშენებლობის სექტორში (50%) გაზარდა დასაქმებულთა ანაზღაურება. 2026 წლის III კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ბრძას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი ასევე მშენებლობის სექტორში (58%) გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 24).



■ გაზრდა ■ უცვლელი ■ შემცირება

გრაფიკი 24: დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გამოკითხულ კომპანიათა შორის, მათ ვინც 2026 წლის II კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმეტესობამ (93%) დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა, ხოლო 7%-მა დასაქმებულთა ანაზღაურება 21-40%-ით გაზარდა.




გრაფიკი 25: დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა

BAG ხელოვნური ინტელექტის კვლევა

2026 წლის II კვარტლის გამოკითხვაში, კომპანიებში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების და ბიზნესპროცესებზე მისი გავლენის შესაფასებლად, BAG ინდექსის კითხვარში დამატებითი კითხვები ინტეგრირდა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები ოთხ სექტორში განაწილდნენ: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა.

2026 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების 47% აცხადებს, რომ ამჟამად ხელოვნური ინტელექტის დანერგვის დაგეგმვის/კვლევის პროცესში იმყოფება (იხილეთ გრაფიკი 26).

ამჟამად, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის რომელ ეტაპზეა თქვენი კომპანია?




- AI სრულად არის ინტეგრირებული ერთ ან რამდენიმე ბიზნეს პროცესში
- არ ვიყენებთ და არც განვიხილავთ უახლოეს მომავალში
- ვიყენებთ სატესტო რეჟიმში (პილოტირება)
- ვიმყოფებით კვლევის/დაგეგმვის პროცესში

გრაფიკი 26: ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ეტაპები, 2026 წლის II კვარტალი

სექტორების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალში:


- ✗ **ხელოვნური ინტელექტის დანერგვის კვლევის/დაგეგმვის ეტაპზე** მყოფი კომპანიების წილი ყველაზე მაღალი ვაჭრობის (54%) და მშენებლობის (50%) სექტორებში დაფიქსირდა.
- ✗ **პილოტირების ეტაპზე** მყოფი კომპანიების ყველაზე მაღალი წილი მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებშია (33-33%).
- ✗ კომპანიები, რომლებიც **არც იყენებენ და არც გეგმავენ ხელოვნური ინტელექტის დანერგვას**, ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორში არიან წარმოდგენილი (28%).
- ✗ **სრულად ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტი** ყველაზე მაღალი წილით მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში (15-15%) დაფიქსირდა (იხილეთ გრაფიკი 27).



გრაფიკი 27: ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ეტაპები სექტორების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალი

საწარმოთა ზომის მიხედვით, 2026 წლის II კვარტალში:


- ✖ **ხელოვნური ინტელექტის დანერგვის კვლევის/დაგეგმვის ეტაპზე** მყოფი კომპანიების წილი ყველაზე მაღალი იყო მცირე საწარმოებში დაფიქსირდა (57%).
- ✖ **პილოტირების ეტაპზე** მყოფი კომპანიები ყველაზე მაღალი წილით საშუალო საწარმოებში არიან წარმოდგენილი (33%).
- ✖ კომპანიების წილი, რომლებიც **არც იყენებენ და არც გეგმავენ ხელოვნური ინტელექტის დანერგვას**, მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებში თითქმის თანაბარი იყო.
- ✖ **სრულად ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტის** მექონე კომპანიების წილი მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებში თითქმის თანაბარი იყო (იხილეთ გრაფიკი 28).




გრაფიკი 28: ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ეტაპები საწარმოთა ზომის მიხედვით, 2026 წლის II კვარტალი

გამოკითხული კომპანიები ხელოვნურ ინტელექტს ყველაზე ხშირად მარკეტინგის და კონტენტის შექმნის მიზნით იყენებენ (20%). შემდეგ თანაბარი წილით მოდის ფინანსებისა და რისკების მართვა (15%) და მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისი (15%) (იხილეთ გრაფიკი 29).

სექტორების მიხედვით, მარკეტინგისა და კონტენტის შექმნისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ყველაზე მეტად ვაჭრობის (26%) და მომსახურების (23%) სექტორებშია გავრცელებული. ფინანსებისა და რისკების მართვის მიმართულებით ხელოვნურ ინტელექტს ყველაზე ხშირად მშენებლობის სექტორი იყენებს (25%), ხოლო მომხმარებელთა მხარდაჭერისთვის - მომსახურების სექტორი (26%) (იხილეთ გრაფიკი 30).




გრაფიკი 29: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მიმართულებების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალი



გრაფიკი 30: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მიმართულებებისა და სექტორების მიხედვით, 2026 წლის II კვარტალი


რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტებს, გამოკითხული კომპანიების 50% იყენებს მზა, გლობალურ პლატფორმებს, 26% - შიდა რესურსებით დატრენინგებულ საკუთარ AI მოდელებს, ხოლო 24% - სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (იხილეთ გრაფიკი 31).



გრაფიკი 31: ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტები, 2026 წლის II კვარტალი


გამოკითხულმა კომპანიებმა ასევე, შეაფასეს ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენა მათ საქმიანობაზე. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მთავარ პოზიტიურ შედეგს დროის დაზოგვა და პროცესების დაჩქარება წარმოადგენს (79%). გამოკითხულთა 11%-ის აზრით, AI-ს დანერგვამ ადამიანური შეცდომები შეამცირა, ხოლო 5%-ის შეფასებით – მომსახურებისა და/ან პროდუქტის ხარისხი გააუმჯობესა (იხილეთ გრაფიკი 32).

რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის გავლენას თანამშრომელთა რაოდენობაზე, კომპანიების 79%-ის აზრით, თანამშრომელთა რაოდენობა არ შეცვლილა, თუმცა შემცირდა მათ მიერ შესრულებული რუტინული სამუშაო. კომპანიების 13%-ის შეფასებით, ხელოვნურ ინტელექტს თანამშრომელთა რაოდენობაზე გავლენა არ მოუხდენია, 5%-მა შტატები გაზარდა, ხოლო 3%-მა შეამცირა (იხილეთ გრაფიკი 33).



გრაფიკი 32: ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მთავარი პოზიტიური შედეგი, 2026 წლის II კვარტალი


როგორ იმოქმედა ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ თანამშრომელთა რაოდენობაზე?



გრაფიკი 33: ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გავლენა თანამშრომელთა რაოდენობაზე, 2026 წლის II კვარტალი

გამოკითხული კომპანიების შეფასებით, ქართულ ბაზარზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობაა (30%). მას თანაბარი წილით მოსდევს ქართული ენის მხარდაჭერის ნაკლებობა ტექნოლოგიებში (16%) და მონაცემების სიმცირე ან მათი გაუმართავი სტრუქტურა (16%) (იხილეთ გრაფიკი 34).


რა არის ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში?



გრაფიკი 34: ქართულ ბაზარზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, 2026 წლის II კვარტალი


რაც შეეხება კომპანიების სამომავლო გეგმებს, მომდევნო 1-2 წლის განმავლობაში, გამოკითხული კომპანიების 65% გეგმავს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებში ინვესტიციების გაზრდას, 18% არ გეგმავს ამ მიზნით ბიუჯეტის გამოყოფას, ხოლო 16% ინვესტიციებს არსებულ ნიშნულზე შეინარჩუნებს.

გეგმავს თუ არა თქვენი კომპანია მომდევნო 1-2 წლის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებში ინვესტირებას?



- შევიწარმუნებთ საინვესტიციო ბიუჯეტს არსებულ ნიშნულზე
- არ ვგეგმავთ ბიუჯეტის გამოყოფას
- დიახ, გავზრდით ბიუჯეტს

გრაფიკი 35: ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინვესტიციის მომავალი 1-2 წლის გეგმა, 2026 წლის II კვარტალი



კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge